

თუმა პირადად არ კონსტრუქციონერ და
"საქართველო" არ დაგვიკვლიათ,
მაგრამ თქვენი აღმსარებლობით და
გულგანებით.

საქართველო

თ ა ვ ი ს უ შ ა ლ ი ო რ გ ა ნ ო

წლიური ფასი—5 მანეთი
თვითღებული ნომერი—25 კაპ.

№ 2.

წელიწადი პირველი.

15 მაისი 1903 წ.

№ 2.

უმღრჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვინც თანაგვივრძნობს, მოგვარდნად სოფელ ყოველგვარი მასალა, როგორც ქართულის, ისე ფრანგულის გამდგომისათვის: დოკუმენტები, წიგნები, ვლენსონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გასული ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ შიგ ადგილი დაეთმობა ყოველგვარ მიმართულების წერილებს, რომელთაც აწრად ექნებათ

ქართველ ხალხის ინტერესთა გამდგომად. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნასაც გაუკეთებს.

შვითხველს ვსთხოვთ ყოველი ნომერი „საქართველოში“, წაკითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს სოფელ, რათა ამ სახით ხელი შეუწყოს ჩვენი გასულით გაგრძელების საქმეს.

ყოველი შემდგომი წერილი, რომელიც ფულით, ისე წიგნებით, დიდს მაღლობით მიიღება.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველოს ეროვნული თვით-მმართველობა.— მუშათა მოძრაობა და ეროვნება.— წერილები ქუთაისიდან. (კლდინიზაცია მავზდვისპირად) მ— შვილისა. წერილი პირველი.— ჩვენი ცნობების მატრიცა (მეწერილი ამბები).— მუშათა დემონსტრაცია ბათუმში.— გაუმარჯავს თავისუფლებას (კლესპონდენტისაკან).— ეპისკოპოს დიმიტრის (აბაშიძის) გადაყვანის გამო (სადღის მღვდლისა).— 26 თებერვლის მანიჭესტი.— რუსეთის ქრწნიკა.— რუსეთის მთავრობა ჩვენს რას ჰპიქრობს?— რედაქციისაკან.— „საქართველო“ ფდსტა.

საქართველოს ეროვნული თვით-მმართველობა.

დღემდე ეროვნულ კითხვას ჩვენში თეორიული სახითი ჰქონდა. ვლადარაკობით და ვსჯიდიით ეროვნობის მნიშვნელობასა, იმის დაგვის საჭიროების შესახებ. სოფლ დღემდე ჩვენს სჯა-ბაასს, ერთის მხრივ, განყენებული სახითი ჰქონდა, მეორეს მხრივ კი გოდებისა და ნატვრის ელფერი ედვა. აღარც განყენებული კამათი ეროვნობის მნიშვნელობაზედ, აღარც გოდება ეროვნობის დაჩავგრის გამო, აღარც გულში ჩამარხული და გამლუქმელი ნატვრა ეროვნობის აღდმინებისა, ყოველივე ეს ბრაქტიკულ სარგებლობას არავითარს ვკამლევდა. დრო მიდიოდა და ჩვენც თანდათან ვკარგავდით ჩვენს ვინაობას და ჩვენი სასტიკნი და უღმობელნი მმართველნიც მეტის უდიერობით და კადნიერებით ფეხქვეშ გვთელავდნენ.

დღეს ჩვენ ამ სულის შემხუთველ და უნუგემოდ მდგომარეობიდამ გამოვდივართ. ჩვენს განყენებულ აწრს სდრცმესხმულდება დაეტყვო, გოდება წყრმად გადაგვექცა და ბუნდვან ნატვრას განსაწდვრულ და ნათლად გამდრკვეულ მისწრაფების ბეჭედი დაესო. შევიგენით, რამ ჩვენს ვინაობას და ეროვნებას მხოლოდ ცნობების მიმითადი ცვლილება და კანდნიერ ნიადაგზე აგებული ეროვნული ავტონომია დაითარავს.

ყოველ ხალხს თავისი საკუთარი ენა აქვს, მის თვისებას და ვითარებას. შესაფერი პოლიტიკური დაწესებულებანი, ყოველ ხალხს უფლება აქვს თავის მდომის ნაყოფით. ისარგებლოს. ეროვნობის დაგვა, ჩვენი შესედულობით, დაგვაა დედა-ენისა, ურდმლისოდაც ხალხს აწრის გამოსათქმელი იარაღი ეკარგება, დაგვაა ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა საშუალებით ხალხი თავისს საქმეებს მართავს და განაგებს, დაგვაა ხალხის ნამდომისა და ნაამაგარისა, რომლის წართმევა და დასაკუთრება გარემუ მლიერ თვით-მპყრობელობისაკან ხალხის გადარიბებას და გათახსირებას მლახწავებს. და აი რათა შევიწინაწოთ ენა, მღვიმღვოთ პოლიტიკური დაწესებულებანი, გადავარჩინოთ ხალხის ნამდომი და ნაამაგარი, საჭიროა მოისპოს ჩვენში ადმინისტრაციული რევიმი, ქვეყანას თვით-მმართველობა მიენიჭოს და საქართველოს ეროვნულ ავტონომიას საძირკველი ჩაეყაროს. ჩვენ შევიგენით, რამ მხოლოდ თვით-მმართველ დაწესებულებას, ეროვნულ ავტონომიას შეუძლია ჩვენი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, ყოველი ჩვენი ეროვნული საჭიროებანი დააკანონოს და საწდგადდოთ ჩვენი ვინაობის მფარველად და მცველად შეიქმნეს.

დრო მდვიდა და უნდა ნათლად და სრულიად თავისუფლად გამომვსტყვათ ჩვენი აზრი. უნდა გამომვარკვიოთ, როგორ გვესმის საქართველოს ეროვნული ავტონომია? ჩვენ სეპარატისტები ვართ, თუ ეროვნული ავტონომია რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციის ფარგალში გვინდა განვანოვრდეთ? რუსეთსა და საქართველოს შორის რა დამოკიდებულება უნდა დამყარდეს? რა საზღვარი ექმნება ჩვენს შინაურ თავისუფლებას? ჩვენს მეზობლებთან, სხვა ერებთან, რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს? აი ყველა ეს უნდა იყოს ნათლად, გარკვევით და მკაფიოდ შემუშავებული და განმარტებული. ამ წერილში გვხვრს ამ საგანზედ მოვილაპარაკოთ.

თავდაპირველად ჩვენ აღვიარებთ, რომ სეპარატისტები არა ვართ, ე. ი. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სრული მდომრება რუსეთისაგან, პოლიტიკური განკერძოება არც შესაძლებელი და არც სასურველია და აი რატომ.

კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრება ეკონომიურად ისე გადაემა ერთმანეთს და ამასთან ისეთი გრძნობები გახდა ამ ერთა ეროვნული თავმოყვარეობა, რომ ამ მრავალ მოქიშპე ერთა შორის ერთის განცალკევებულის სახელმწიფოს დაარსება დღევანდელ პირობებში მძიმე პოლიტიკურ პრობლემად მიგვაჩნია. ეს ერთი.

მეორე მიზეზი კიდევ უფრო პატივსადავია. კავკასიის სრული დამოუკიდებლობა, ან კიდევ კავკასიაში ერთ განკერძოებულ სახელმწიფოს დაარსება მხლდოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: თუ რუსეთმა კავკასიაზედ ხელი აიღო და ევროპის სახელმწიფონი კავკასიას ხელუხლებელ, ნეიტრალ ტერიტორიად აღიარებდნენ. არის ამისი იმედი? ჩვენ გვგონია, რომ არა. დრმად დარწმუნებულნი ვართ, რუსეთი კავკასიას თავის ნებით ხელიდამ არ გაუშვებს, რაც გინდა თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდეს რუსეთში. უნდა გვანსოვდეს, რუსეთი სტიქიურად აღმოსავლეთისკენ მიიწევა. კავკასია აღმოსავლეთისკენ რუსეთის მსვლელობისათვის აუცილებელი სადგურია, ბაზისია. რუსეთი აღმოსავლეთისაკენ სხვა-და-სხვა მოსაზრებათა ძალდატანებით მიისწრაფის. უმთავრესი ამ მოსაზრებათაგანი ეკონომიური ინტერესია. უმთავრესი მამომრავებელი ძალა თანამედროვე ცხოვრებისა კაპიტალიზმია და პირველი მიზეზი ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვართა გაფართოვებისა სავაჭრო ახალ ბაზრის მოძოვებაა. რეჟიმიც რომ შეიცვალეს რუსეთში, პოლიტიკურ თვით-მპყრობელობის დამსობის შემდეგ, რუსეთის გამლიერებული და განვითარებული კაპიტალიზმი საკლდონისაგოდ პოლიტიკის გაგრძელებას მაინც მოითხოვს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითს გონსტიტუციური გერმანია გვიჩვენებს. მიუხედავად

დემოკრატიულ მოძრაობის ზრდისა, გერმანია სახელმწიფოს საზღვართა გაფართოვებას ცდილობს. ამასვე ვხედავთ თავისუფალ ინგლისშიაც. და ისეთი რესპუბლიკებიც, როგორც ამერიკა და საფრანგეთია, ამ გზას ვერ ასდგნენ. რუსეთიც, რაც გინდ დემოკრატიულ ხასიათის კონსტიტუცია დამყარდეს იქ (პრაქტიკულად უნდა შევხედოთ საქმეს), უეცრად, ერთბაშად არ აიღებს ხელს საკლდონისაგოდ პოლიტიკაზედ, ე. ი. აღმოსავლეთიდან არ აიბარება. მაშასადამე, კავკასიას თავს ვერ დაანებებს, რადგან კავკასია და მცირე აზია და თვით აზიის შუაგული ნაწილი ძლიერ ვიწროდ არიან დაკავშირებულნი.

რაიც შეეხება ევროპისაგან ხელუხლებელ ტერიტორიად გამოცხადებას კავკასიისას, მართალი მოგახსენოთ, ჩვენ არ ვხედავთ არც ერთ პრაქტიკულ მოსაზრებას ამ აზრის განხორციელებისათვის. შვეიცარიის მაგალითი მოსაყვანი არ არის, რადგან შვეიცარიის იქით ის არ არის, რაც კავკასიის იქით არის, ე. ი. მდიდარი აზია, რომლის დაპყრობა ევროპიულ სახელმწიფოდ დიდი ხანი აქვსთ გადაწყვეტილი. აზიის დასაპყრობლად კავკასია ყოველთვის საღებრაციოდ ბაზისად იქმნება. ამ ბაზისის ნეიტრალ ქვეყნად გამოცხადება—აზიაზე ხელის აღებას ედრება. ჩვენ მართალია იდეალისტები ვართ, გარნა ჩვენი იდეალიზმი არც ისე შორს მიდის, რომ ამგვარ არაკვ დაუჯეროთ.

ჩვენ აზრათ არა გვაქვს ოცნებათა სამეფოში ვიფრინოთ. გარემოებას თვალი თვალი უნდა გავუყაროთ და ამის მიხედვით ჩვენის პროგრამიდან პოლიტიკური სეპარატიზმი, საქართველოს რუსეთისაგან სრული განმორების აზრი, უნდა წავშალოთ. ავანტიურისტულ მოსაზრებას თავი უნდა დავანებოთ, ეს ქვეყანა რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დარჩება. ამ აზრს უნდა შევუთრდეთ. საქმე ის არის, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში იმგვარი პირობები შევქმნათ, რომ, ერთის მხრივ, რუსეთთან ერთობაგ არ შევწყვიტოთ, მეორეს მხრივ, ჩვენი ეროვნება თავისუფლად განვავითაროთ.

აქ ქართველების და რუსეთის მეზომოდ პარტიათა საერთო მუშაობაა საჭირო. ამ დიდ საქმეში ერთმანეთს ხელნ უნდა შევუწყვოთ. ჩვენდა თავად, ჩვენ ქართველებს, ამ შეთანხმების მოსაზრებით, გვხვრს გამოვაცხადოთ ჩვენი აზრი, ე. ი. როგორ უნდა მოვაწყვოთ საქართველოს ეროვნული ავტონომია. ამ შეთანხმებისათვის საჭიროა გავაგებინოთ ჩვენი პოლიტიკური მოსაზრება.

II

უმთავრესი გასარკვევი საგანი საზღვრების კითხვაა. ავტონომიურ საქართველოს რა გეოგრაფიული საზღვრები ექმნება? ამ საგნის გადაწყვეტის დროს

შეიძლება შემდეგი მოსაზრება წავიმძღვაროთ წინ.

ერთის მხრივ, უნდა ვიხელმძღვანელოთ 1783 წ. ტრაქტატით. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთს უერთდებოდა ქართლ-კახეთი, ე. ი. თითქმის მთელი ესხანდელი ტფილისის გუბერნია და ნაწილი განჯის გუბერნიისა. ამავე ტრაქტატში ნათქვამია, რომ რუსეთის იმპერატორი საქართველს დაუბრუნებს იმ პრვინციებს, რომელნიც ხელშეკრულების დროს სათათრეთის ხელში იყო, ე. ი. სამცხე-საათაბაგო და აჭარას, იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთთან ომი ასტყდა და სხენებული პრვინციები რუსეთმა ოსმალეთს ჩამოართვა *). მეორეს მხრივ, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმითი, თუ ქართველთა ტომის ხალხი, სად და სად სახლობს. აქ უნდა მოვიხსენიოთ დასავლეთი საქართველო, რომელიც მე-XIX საუკუნის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ, სრიკების, მოტყუების და ძალმომრეების საშუალებით რუსეთის იმპერიას შემოუერთეს. ამრიგად, მომავალ ავტორშიურ საქართველს ტერიტორიად უნდა იყოს: აფხაზეთი, რომელშიაც ბევრი მეგრული სახლობს, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი (დარიალამდე), სომხეთი, კახეთი, თუშეთი-ხევსურეთი, საინგილო.

მართალია, ამ პრვინციების წვდომით ადგილებში, როგორც მაგალითად ახალციხის მაზრაში, ბორჩალოში და სხვაგან სხვა ტომის ხალხნიც სცნობდნენ—სომხები და თათრები, ხოლო ეს გარემოება საქმეს არ დაუშლის. ამ პრვინციებში საჭირო იქმნება იმგვარი სისტემის დამყარება, რომ ამ ერთა ერთვნილი თვისებები დაცული დარჩეს და არ დაიხაროს. ჩვენ, ქართველებმა, ყოველთვის სამართლიანი ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენს მეზობელ ერებს. ამიტომ საქართველს ავტორშიურ ორგანიზაციის დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ ერთა ინტერესებიც, რომელნიც ამ ორგანიზაციაში მოჭყვებიან.

მაშასადამე, საქართველს ავტორშიის ორგანიზაციაში კავკასიის ის ნაწილი შევა, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა ქართველთა ტომისაგან შეხდებოდა. უნდა განვმარტოთ, ქართველთა ტომის მომავალი ცხოვრება როგორ უნდა მოეწყოს, რაგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაწესებაა საჭირო ჩვენში, ანუ საქართველს ავტორშია რა ნაირად უნდა გვეხმოდეს?

აქაც, ამ კითხვის განმარტების დროსაც, ჩვენ ვვხვდებით პრაკტიკულ ნიადაგს არ ავსცილდეთ. საქართველს ავტორშიის აღიარება, ჩვენის შესედელო-

ბით, რუსეთის პოლიტიკურ ევოლუციის ლოდიკურ და ფაქტიური შედეგი იქმნება. საქართველს ავტორშია რუსეთის დეცენტრალიზაციას მოჭყვება ისე, როგორც რუსეთის დეცენტრალიზაციას პოლიციის, სომხეთის და სხვა ერთა ავტორშია მოჭყვება, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის სამიოკველწედ ერთვნილი ავტორშიის შენობა ამენდება. ჩვენ ესლა ვვხვდებით გამოვარვვიოთ, რა ფორმა და რა ხასიათი მივცეთ ამ შენობას.

III

მეფე ერეკლეს ტრაქტატი ჩვენთვის საუკეთესო სახელმძღვანელოა ამ საგნის განსამარტავად. რა ჰხებოდა მეფე ერეკლეს? თავისუფლება შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობისა. დღეს ჩვენ რაღა ვვხვდებით? იგივე თავისუფლება შინაურ მართვა-გამგეობისა. ჩვენი აზრი მხოლოდ იმითი განსხვავდება მეოვრამეტე საუკუნის ტრაქტატის დედა-აზრისაგან, რომ საქართველს მართვისათვის ქართველ მეფეების ტახტზედ ასვლა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. ჩვენი ხალხი მომწიფდა პოლიტიკურ თვით-მმართველობისათვის. ამიტომ თვითონვე, თავის არჩეულთა და წარმომადგენელთა საშუალებით, თავს მოუვლის. სამეფო ტახტის მაგიერ ჩვენში საერო კრების დაწესებაა საჭირო.

საერო კრება ხალხის წარმომადგენლებისაგან შეხდებოდა. არჩევნების უფლება უნდა იყოს საყოველთაო. საერო კრება ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანოა, დაახლოვებით იმავე ტიპისა, რასაც ამჟამად ავტორში-უნგრეთის პრვინციებში ვხვდავთ (ჩეხიაში, გალიციაში და სხვაგან). საერო კრების განსახილველი საქმე იქმნება: ადგილობრივი ბიუჯეტი, (ფინანსები), კანონების გამოცემა ადგილობრივ მოთხვნილებათა მიხედვით, სკოლა, სამსჯავრო, ადმინისტრაცია, მხედობა (მილიცია). საერო კრება საქართველს სამმართველო უშაღლესი ორგანო უნდა იყოს *).

*) ჩვენა ვვხვდებით, უეჭველად ვვქნდეს ადგილობრივი ბიუჯეტი, ქართველთა საერო კრების მიერ მოწინებული და მისის თანხმობით შედგენილი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მოკრებილი გადასახადი უფრო სამხედრო და სტრატეგიულ საჭიროებისათვის იხარჯება, ვიდრე თვით ქართველ ხალხის აუცილებელ მოთხვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ქართველ ხალხს მძიმე უფელივით ვიხეობენ აწევს ათასგვარი გადასახადი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი. ახლანან ვიდრე ისედაც წელში გაწევრებულ ხალხს ორის მილიონის ახალი გადასახადი გააწერეს. და ეს ორი მილიონი სახსრებით უნდება რუსის ყაზახების შენახვას (საპოლიციო დარაჯი), რომელთა დანიშნულებაა აღმოფხვრან ყაჩაღობა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაწესებულების შემოღების შემდეგ ყაჩაღობამ იკლო კი არა, უფრო იმატა. ეს ყაზახ-რუსები მცხოვრებთ არბევენ, აწიოვებენ და, რაიმე შევლისა და დახმარების მაგიერ უფრო უმწარებენ ისედაც გამწარებულ სიღ-

*) ტრაქტატის არტ. 2.

გარდა საერთო კრებისა, რომელიც საქართველოს ავტონომიის გამომსახველი იქმნება, საჭიროა აგრეთვე სხვა დაწესებულებათა დაარსება: როგორც ეროვნისა, ნაფიც მსახულთა ინსტიტუტის, ნამდვილ საქალაქო თვით-მმართველობისა. ყოველი ამგვარი დაწესებულება უნდა იყოს დაფუძნებული საყოველთაო ხაარჩევნო უფლებათა პრინციპზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია სამშობლო ენის დაცვა. საერთო კრებამ კანონის ძალით უნდა აღიაროს ქართული ენის უპირატესობა საქართველოში. ქართულ ენას საქართველოს საზღვრებში სავალდებულო სასიათი უნდა მიეცეს. ამიტომ საერთო, საერთოდ და საქალაქო კრებებში, სკოლაში (დაბალიდამ უმაღლესამდე) სასამართლოში (ყველა ინსტანციებში) ადმინისტრაციაში და ეკლესიაში—ყველგან ქართული ენა უნდა იყოს აღიარებული, როგორც სავალდებულო ენა.

მაგრამ აქ ზოგიერთი განმარტებაა საჭირო. საქართველოში, ქართველებს გარდა, სხვა ერნიც სცნოვრდებენ. თუმცა ქართველებმა, საერთოდ აღებული, უმრავლესობას შეადგენს, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში განსაკუთრებით ქალაქებში, სომხებისა და რუსების რიცხვი დიდია. აქა-იქ სოფლებშიაც სცნოვრდებს სხვა ტომის ხალხი. სომხთში, მაგალითად, ბევრი თათარია და არა ნაკლებ სომეხი. ტფილისში დიდძალი სომხობაა. ყველა ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში და ისეთი წესი დავამყაროთ, რომ ერთა შორის შფოთი და უსიამოვნება არ ჩამოვავდეთ.

ამიტომ, რაიგ შეეხება ადგილობრივ ენათა ხმარებას საერთო კრებასა და სხვა საზოგადო დაწესებულებებში, სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენელთ უნდა მიეცეს სრული უფლება იმ ენაზედ ილაპარაკონ, რა ენაზე მათ უფრო ესწრებათ, ისე როგორც ამ ქაზად შვეიცარიის ფედერაციის თვით-მმართველობაში ხდე-

ცსლეს. ქართველ ხალხის ფული რუსის ადმინისტრაციის ხელშია, რომელიც თავისებობაზე სარჯავს ხალხის ნაოღლარს. ჩვენ არც კი გვკითხავენ, ესა თუ ის სარჯი ხალხისათვის სასარგებლოა თუ საზიანო. ადმინისტრაცია ისე მოქმედებს, როგორც სრული ბატონი და პატრონი. ანგარიშს არავის აძლევს, მის მოქმედებას კრიტიკას ვერავინ უწევს. დანატრესებულ მხარეს პირში წყალი აქვს ჩაკეტილი. რაიგა შეეხება სამხედრო სარჯს, საქართველო ივისრებს შერისხლ ნაციონალური მილიცია, ხოლო ვერ იტვირთებს სარჯი აძლიობს იმ აუარებელ ჯარს, რომელიც რუსეთსა სჭირია აზიის საზღვარზე. დღეს, მაგალითად, ქ. ტფილისის ჯარის სადგომების ქიზად წელიწადში 131,212 მანეთი ესარჯება, ხოლო ქალაქის დაწესებულებათა შესანახად მარტო 157,456 მან. (ტფილისის ქალაქის გამგეობის 1903 წ. სარჯთ-აღრიცხვი-დამ). საზოგადოდ, სწავლა-განათლების საქმეზე ჩვენში სარჯთ-აღრიცხვის 3% ისარჯება. ექიმობაზე—10% და 67.5% სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა (უმეტეს შემთხვევაში ჩვენთვის უსარგებლო) შესანახად. (სამეურ. სას. წავითხულ ბ. სააკვიის მოხსენებიდან).

ბა. საგანგებოდ მიჩენილი თარჯიმანი ყოველ წარმომტქმულ სიტყვას სხვა ენებზე გადასთარგმნის და მით სწვებს წარმომტქმულ სიტყვის შინაარსს გააგებინებს.

მხოლოდ ოფიციალურ ენად, ცენტრალურ მმართველობასთან და ადგილობრივ დაწესებულებებში სახმარებლად, ორი ენა—რუსული და ქართული უნდა იყოს.

რაიგ შეეხება სასამართლო, სკოლას და ადმინისტრაციას, საქართველოს იმ ადგილებში, სადა არა-ქართველები სცნოვრდებენ, ამ დაწესებულებებში ან მცხოვრებთა უმრავლესობის ენა უნდა იყოს ხმარებაში, ან კიდევ პრვიციცია ანუ ქალაქი ეროვნების გვალდობაზე უნდა იყოს განაწილებული და ყოველ ერს თავის უბანში, სკოლასა და სასამართლოში, თავის სამშობლო ენის ხმარების უფლება ექმნება მიწიჭებული.

მხოლოდ ამნაირ წესს, სამართლიანობის პრინციპზედ დამყარებულს, შეუძლია, ჩვენსა და ჩვენს მესობლებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვადოს და ერთმანეთზე გაბატონების სურვილი მოგვიკლას.

აი, ჩვენის აზრით, რა სასიათი უნდა ექმნეს ჩვენის ქვეყნის მომავალ ორგანიზაციის გეგმას. ჩვენი გეგმა რასაკვირველია, სრული არ არის. ჩვენ წარმოვადგინეთ, როგორც ფრანგები იტყვიან, les grandes lignes მომავალ ორგანიზაციისა. და ჩვენს ნათქვამს კიდევ ერთი რამ უნდა მივუმატოთ. ჩვენ გვაქვს სახეში ქართულ ეკლესიის მოწყობის საქმე.

რავარი შესედელობისაგ ვიყოთ სარწმუნოების და ეკლესიის მნიშვნელობაზედ, სასარგებლოდ თუ მავნებლად მიგვაჩნდეს იგი, ამ საგანს ყოველ შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ. საქმე ის არის, რომ ეკლესია ასე თუ ისე, როგორც ფაქტი არსებობს. და რაკი იგი არსებობს, მომავალ ორგანიზაციაში მასაც უნდა დავუთმოდთ თავისი ადგილი. ეს საჭიროა, როგორც ეკლესიის და სარწმუნოების მომხრეთათვის, რადგან ეკლესიას მიეცემა უფრო სამართლიანი ორგანიზაცია, ისე სარწმუნოების მოწინააღმდეგეთათვისაც, რომელთაც ხელში საუკეთესო იარაღი მიეცემათ მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დღეს ჩვენს ეკლესიასაც, როგორც საზოგადოდ ყველაფერს ჩვენში, ბიუროკრატიული სასიათი აქვს. სამეფოსთან ერთად, საქართველოს ეკკლესიის დამოუკიდებლობაგ იყო მოხობილი რუსეთის მთავრობისაგან. ხოლო რაკი ჩვენს ქვეყანას თვით-მმართველობა მიეცემა, საჭიროა მოიხობოს ქართულ ეკლესიის დამოკიდებულება პეტერბურგის სინოდისაგან. ამას მოითხოვს, როგორც ისტორიულ ძალმომრეობის შესწორების საჭიროება (ვინაიდან ქართ. ეკლ. დამოუკიდებლობა ძალ-მომრეობით იყო მოხობი-

ლი), ისე თვით თვით-მმართველების პრინციპიგ *).

მამასადამე, ჩვენი სურვილია—განმტკიცდეს თვით-მმართველობა საქართველოში. ჩვენ გვინდა ჩვენვე მოკუარდოთ ჩვენს თავს.

ამნაირად, საქართველოს თვით-მმართველობის ორგანიზაცია დავანახოთ. ამ დახასიათებით ამჟამად სჩანს, რა დამოკიდებულება ექმნება საქართველოს რუსეთთან. ეს დამოკიდებულებაც, როგორც ყოველი სხვა საგანი, კონსტიტუციაში უნდა იყოს განმარტებული, რათა ამ სამუალებით ჩვენს ურთიერთობაში რაიმე შექმნა, მღუღღდნელ ძალმომრეობას და სხვა მათს მსგავსს რასმეს ადგილი არა ჰქონდეს.

საქართველოს, როგორც ზემოდ ნათქვამიდან სჩანს, გარეშე პოლიტიკის უფლება სრულიად არ ექმნება. წარმომადგენლები ეყვლება რუსეთის ცენტრალურ პარლამენტში, «ზემსკი სობორში». საქართველო სამხედრო სარჯისათვის თავის წვლილს გაიღებს. და საერთო სახელმწიფოს დაგვაში მონაწილეობას მიიღებს. ამასი გამომისახება საქართველოს და რუსეთის ურთიერთობა.

ამრიგად, ჩვენი პოლიტიკური მოსაზრება—ერთვნილი ავტონომიაა. ამ ავტონომიის სამუალებით დავივავთ ჩვენს ვინაობას. აგრეთვე თვით-მმართველობა სამუალებას მდგვემს რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა: საჭირთა მოვსპოთ ჩვენს ცხოვრებაში ბატონყმობის ნაშით; დავაკანონოთ მშრლმელ ხალხის ორგანიზაციები; გაფიცვას კანონიერი სასიათი მივცეთ, და თანდათან გავამდიოროთ ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა.

ამრიგად ჩვენს დრომასუედ ორ სიტყვას ვაწერთ: ერთვნილი თვით-მმართველობა და დემოკრატია.

შუათა მოქარობა და ეროვნება.

რუსეთის მუშათა მოძრაობას რემ დავაკვირდეთ, ამკარად დავრწმუნდებით, რემ მას ამ კამად მარტო ეკონომიური ანუ სოციალური სასიათი არა აქვს. მუშებმა უწინარეს ყოვლისა მონარქიულ წყობილებას გამოეცხადეს ბრძოლა და ეკონომიური საგანი (მრომის ფასის მომატება, გაფიცვის დაკანონება და სხვ.) დღეს მათთვის მხოლოდ საბაბია პოლიტიკურ ბრძოლის გამოცხადებისათვის. და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. პრლექტარიატი უძლურთა გააუმჯობესებს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, თუ ამ პრლექტარიატს ბრძოლისათვის შესაფერი პოლიტიკური ნიადაგი არა აქვს საფუძვლად. პოლიტიკური თავისუფ-

ლება, თავისუფალ დაწესებულებათა დამყარება აუცილებელი პირობაა პრლექტარიატის ნორმალურ განვითარებისათვის. ყოველივე ეს რუსეთის მუშებმა შეიგნეს და ამიტომაც მისცეს თავიანთ მოძრაობას პოლიტიკური სასიათი.

თუ რუსეთში მაგრეა, ჩვენმა მუშათა მოძრაობამ როგორი-და მიმართულება უნდა მიიღოს? რა უნდა იყოს დაწერილი მის დრომასუედ? დღემდე ჩვენებურ მუშათა მოძრაობას თითქმის ისეთივე სასიათი ჰქონდა, როგორც რუსეთის მოძრაობას აქვს. ე. ი. ჩვენშიაც მუშებმა მონარქიას გამოეცხადეს ომი, ჩვენშიაც მუშათა პარტია ამინდელ რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ჩვენ ამ მოძრაობას სულით და გულით თანავუგრძნობთ, რადგან, მართლაც და, ჩვენშიაც, როგორც მოელს რუსეთში, მონარქიული წესი არის ხალხის დამჩაგვრელი, მის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესების შემაფერხებელი. სოლო, ჩვენის აწრით, ჩვენებურ მუშათა მოძრაობას ადგილობრივი ელფერიც უნდა ეტყობოდეს, რასაც ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ,—იმკვარი ადგილობრივი ელფერი, რემელიც უნდა იყოს ნაყოფი რუსეთსა და საქართველოს შუა არსებულ ერთვნილ სხვა-და-სხვაობისა.

ქართველმა მუშა ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ორგანიზაციას. საქართველო რუსეთის უბრლო გუბერნიად ვერ დარჩება. ამას ვერ შევიწყნარებთ იმიტომ კი არა, რემ ვითომ ერთვნილი თავმოყვარეობა გვალაპარაკებდეს, არამედ ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ინტერესი და არსებული განსხვავება საქართველოსა და რუსეთს შორის. ზემოდ წერილში ჩვენ დავანახოთ საქართველოს ის მომავალი ორგანიზაცია, რემლის განხორციელებისათვის უნდა ვიწრუნდოთ. შეიძლება ჩვენს გვემამი წოვიერთი შეცდომები იყოს, შეიძლება მას სისრულე აკლდეს. ყოველივე თანდათან შემუშავდება, თანდათან შესწორდება საერთო ძალდონით და დახმარებით, მხოლოდ დღეს ყველანი ამ აწრს უნდა დავადგეთ: რემ საქართველოსთვის საჭირთა მისი გეგრაფიულ, ისტორიულ და ერთვნილ მდგომარეობის მიხედვით, ასეთი თუ ისეთი თავისუფალი პოლიტიკური ორგანიზაცია.

თუ ეს ასე არის, მამასადამე, ქართველ მუშათა მოძრაობას მარტო რუსულ პოლიტიკურ მოძრაობის სასიათი ვერ ექნება. მუშათა პრლექტარიატში დაწვრილებით განმარტებული უნდა იყოს აღნიშნული მდგომარეობა. ადგილობრივ თვით-მმართველობის, ადმინისტრაციის, სასამართლოს, სკოლის და ენის კითხვა უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ამ პრლექტარიატის შემუშავების დროს. ეს მით უფრო საჭირთა, რემ ადგილობრივ დაწესებულებათა ახალი ორგანიზაცია არამც თუ არ შეუძლის საერთომორის მუშა-

* ეკლესიის შესახებ შემდეგ დაწვრილებით მღვილაპარაკებთ.

თა მოძრაობას, პირ-იქით, ხელსაგ შეუწყობს, რადგან, ამ დაწესებულებათა შემწევობით, უკეთესად გაწვრთნის და პოლიტიკურად მოამზადებს ჩვენს ხალხს.

შეიძლება ზოგიერთ გადაწყვეტილებად იჭვიან ადამიანს ეჩვენოს, რომ ამგვარად მუშათა მოძრაობას თავისი სოციალური ხასიათი დაეკარგება და ბურჟუაზიულ-ეროვნულ მიმართულებას მიიღებს. მაგრამ ეს უსაფუძვლელ შიშია. რადგან საქმე ის არის, რა ხასიათს მივცემთ ადგილობრივ ეროვნულ და პოლიტიკურ ორგანიზაციას.

რაიგ შეგვეხება ჩვენ, ჩვენი დღე და ცდა იმისკენ იქნება მიმართული, რომ საქართველოში დაწესდეს ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი, საერთო არჩევნის უფლებაზე დამყარებული. საერთო არჩევნების უფლების მოპოვება მოასწავებს ხალხის სურვილის და აზრის გაბატონებას. მომავალში ამ იარაღის საშუალებით ხალხი საუკეთესოდ იწრუნებს თავის ეკონომიურ-მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. და იმ «პატრიოტებსაც», რომელნიც ხალხზე გაბატონებას მოინდობენ, ხალხი ამ საშუალებით მოიგერიებს და ალაგმავს.

ამგვარ რეჟიმის წყალობით მუშა ხალხს მიეცემა ორგანიზაციის, თავისუფალ პრეზიდიუმის და გაფიცვის უფლებანი. მამასადაძე, მას მიეცემა იარაღი თავის ინტერესების დასაცავად.

ვიმედრებთ, მთავარი კითხვა ის არის, საქართველოში რა ორგანიზაცია დამყარდება მომავალში. უწინარეს ყოვლისა ამ საგნის გამორკვევაა საჭირო, რადგან თუ შევთანხმდით, თუ ჩვენს პოლიტიკურ მომავალს ავაგებთ ადგილობრივ და რუსეთის პოლიტიკურ ევოლუციის მოთხოვნილებათა თანახმად, მაშინ ნუ შევუშინდებით «ეროვნებას» და ჩვენებურ მუშათა დროშაზე დავაწეროთ: «ძირს თვით-მწყობელობა, გაუმარჯულ რუსეთის განთავისუფლებას და გაუმარჯულ ამასთან ერთად საქართველოს ეროვნულ ავტონომიას!»

წერილი პირველი.

წერილი პირველი.

კოლონიზაცია შავხდვის პირად.

ჩვენს ხალხის სიძულვილით თვალდაბრმავებული მტერი და თუ იტყვის, რომ იმერეთის მცხოვრებნი ქონებრივად უწრუნველყოფილნი არიან. რუსეთის მთავრობის სურვილ-მისწრაფებათა გამომხატველ გასეთებს რომ ყური უგდოს ვაგმა, ქართველ გლეხის სიღარიბის მიზეზი მისი საარაკელ სიზარმაცე და აწიური დაუდევრობა არის. თორემ მიწა მოჭარბებულია დაგ აქვსთ ქართველებს, რაცა აქვსთ, ისიც არამია მათზე, უნდა ვეცადოთ თავისუფალ სახაზინდ მიწებზე

რუსის გლეხები დავასახლოდოთ. ხომ მოგვხსენებთ, სიტყვას ბაყი არა აქვს და ენას—ძვალი. გაუდისთ და სიცრუვე - სიმართლეს ერთმანეთში დომხალივით ურევენ. ამ უკუღმართ აზრების მქადაგებელ გასეთებმა იციან, რომ მთავრობაც კვერს უკრავს მათს ნათქვამს, და ჩვენში ყოჩაღი ვინმე რომ გამოჩნდეს და გაბედოს მტყუანს მტყუვნის კარებამდე მიჰყვებს, მაშინვე პირში ბურთს ჩაჩრთან და არსებულ სახელმწიფო წესწყობილების მუხანათად და მოღალატედ გამოიყვანენ. იმ დღესაც მოვესწართ, რომ არ შეგვიძლია სმამაღლა ვსთქვათ, გვშიან, გაჭირვებულნი ვართ, ლამის არის საძაღლედ გახდეს ჩვენი საქმეო.

თქვენს ლხენას, ჭკვათა მყოფელი და ცოტადნად ადამიანურის გრძობის პატრონი ჩვენს გლეხს სიზარმაცეს და დაუდევრობას უკიყინებს, იმ გლეხს, რომელსაც, რავი ბარად სახნავი არა აქვს, ფლატოებზე ააქვს თავისი კავი და კატის მსგავს ხარებითა სჩინქნის ნიადაგს, რომ შიგ ორიოდე მარცვალი ჩაყაროს! სიზარმაცით აისხნება უილაჯობა ჩვენის გლეხისა, რომელსაც უფროხერთ შემთხვევაში ორი ქცევა მიწაც არ ატიალია სახნავ-სათესად; რომელსაც უსამდგრობისა გამო დღრი რა არის, დღრიც კი ვერ გაუჩენია. სიზარმაცეა, რცა წლითი-წლობამდე 100 ფუთს სიმინდს თუ და შეყრის სახიმინდეში და ამ ჭირნახულით უნდა გამოჰკვეთოს ცოლშვილი, პასუნი გასცეს სახელმწიფოს, ერს, მღვდელს და კარხედ მომდგარ გაჭირვებას?

მხოლოდ ჩვენს მტერს, რუსის მთავრობას, არ სურს ჩვენის გაჭირვების დანახვა, თორემ მინაურობაში ყველამ ვიცით რა დაღსინებულებია ჩვენი გლეხი, რა განსჯა-განკითხვის დღე ადგა. ვიცით, რომ ყოვლის ჩვენის უბედურობის, ქონებრივად დაქვეითების, გონებრივის სიბნელის მიზეზი რუსის მთავრობაა, რომელიც უკანასკნელ სულის ამხრდას და ჩვენს გაჭრებას აპირებს. სამწუხაროდ ჩვენში კიდევ მოიპოვებია ისეთნი, რომელთაც სჯერათ მთავრობის სულგრძელობა, სჯერათ, რომ მთავრობა ყველა რუსის ქვემევრდომთათვის ერთგვარადა წრუნავს განურჩევლად ეროვნებისა. და სწორედ ეს ცრუ იმედია, რომ დროით გამოფხიზლებას გვიშლის. საჭიროა გამოქვეყნდეს, ყველასათვის ამკარა შეიქმნეს ის უკუღმართი პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ჩვენს მხარეში ადგა, რომ ურწმუნოდ თომანიც შეიჩმუნჩნენ და თითზე იკბინონ, დაინახონ და ერთმანერთისაგან გაარჩიონ მტერი და მოყვარე; დაინახონ, რომ ახლანდელს დროში სხვათა თვალში შემადგქერლობა და სხვათა იმედით ყოფნა მარტო გულუბრყვილობა და გონებრივად ბეგთა წესია.

ენით გამოუთქმელი სისაწყლეს გამეფებული მთელს დასავლეთ საქართველოში: რაჭას, იმერეთს, სვანეთს, გურია-სამეგრელოში. ეს უკანასკნელი დგი

წელიწადია ეს სიდატაკე, ქონებრივი დაჩაგვრა საერთოდ და თვალსაჩინოდ შეიქმნა. მთავრობა, თუ სადმეა თავისუფალი სახაზინოდ მიწები, იწვავს რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის; მსხვილ-მსხვილი მემამულენი სახელმწიფოდ ბანკში ავირაგებენ თავიანთს მამულ-დედულს, იმ განზრახვით, რომ ნასესხი ფული უნაყოფოდ, წინდაუხედავად გაჭვლანგონ, თავის დროზე გადასახადი არ შეიტანონ და ბოლოს ბანკს ჩაატოვონ ხელში თავისი ქონება, რომელსედაც დღეს თუ ხვალ რუსის გლეხებმა უნდა მიიგალოთ. მრეწველობა ჩვენში არ არის, რომ მშრომელმა ხალხმა იმით არის მაინც მოიბრუნოს ხელი. უმამულად შეწებებულს და თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიხულს გლეხს ერთი და დარჩენია ხსნისა—თავი მიანებოს მამა-პაპათა სამარხს და მოძის, სხვაგან ეძებოს ახალი ბინა და სამყვოვი მიწა.

საქართველს ზემოდ ჩამოთვლილ მხარეთა მოძრის შედარებით ყველაზე უკეთესს პირობებშია სამეგრელო. სახელდობრ იმითი, რომ გვერდთ აკრავს ბუნებით მდიდარი მხარე იმავე საქართველოში, აფხაზეთი, სადაც თავისუფალი სახაზინოდ მიწებიც ბოლომათაა და ადგილმდებარეობა და ჰავაც თითქმის იმნაირივეა, რაც სამეგრელოში. აქ გადმოსახლებული მეგრული ოჯახი თითქმის «შინა» გრძნობს თავს და თუ ერთის მხრით გული სწყდება, რომ მამა-პაპათა ხალცვაგებს მომორდა, მეორეს მხრივ გულს იმითი იკეთებს, რომ შრომა ათწილ ჯილდოვდება და არამცთუ კარზე მომდგარ დღიურ გაჭირვებას უძღვება, სამავდღეოდაც იწვავს ცოტა რასმე. სამეგრელოს მკვიდრთა უმამულ ნაწილმა სწორედ ამ მხარეს მოაქურა ხსნისა და შველის საძებნელად. მაგრამ სანამ აფხაზეთში მეგრეთა გადმოსახლების შესახებ ვიტყვოდეთ რასმე, საინტერესოდ მიგვაჩნია მკითხველს გავაგნოთ როგორ დაეპატრონა საზინა აქაურ მიწებს.

რუს-ოხმალეს უკანასკნელ დმის დროს ოხმალეთის ჯარი ვემებით სოხუმს მოადგა თუ არა, რუსის ჯარმა ოხმალეს ზარბაზნებს ლაჩრულად ზურგი შეაქცია, თავს უშველა და მთელი აფხაზეთი მტრის ანაბარა დასტოვა. აფხაზებს ორში ერთი უნდა აერჩიათ: ან თავიანთი კაჟიან თოფით ოხმალეს ზარბაზნებს უნდა შებრძოლებოდნენ ან ოხმალეთათვის მორჩილება გამოეცხადებინათ. მართალია, რუსები აფხაზებს ველურებს უწოდებდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი არც მაგრე ველურები იყვნენ, რომ იმისთანა დროს გამომჟღავნებოდნენ ინტერესს იმ სახელმწიფოსას, რომელმაც ჯერ იყო და თავისუფლება წაართვა და ახლა კიდევ გასაჭირის დროს მტერს ლაჩრულად ხელში ჩაუტოვა. რუსებისაგან სხვა რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ადამიანი, იძახდნენ აფხაზნი და არჩივს ისევ ოხმალეთს მიმხრობდ-

ნენ. ჯერ გადასწვეს მთე ლი სოხუმი და მეგრე ცოლ-შვილიანად ოხმალეების ვემებზე ჩასხდნენ ოხმალეთში გადასახასლებლად. ბარემ ცრემლებით ევსებოდათ თვალეები, მკირფას სამშობლო მხარეს უკანასკნელად რომ აძლევენ სალამს, მაგრამ ნუგემოდნენ, სულ ერთია, რუსებისაგან მაინც გამწარებული გვქონდა დღე და სამშობლოში არ გვედგომილებოდდა.

ყველამ ვიცით, თუ რა მასპინძლობა გაუწია აფხაზეთის შვილებს ოხმალეთის მთავრობამ. ამ უბედურთა მწუხარებამ და საცოდავობამ ქვანიც კი აატირა. მეტი გზა არ იყო, ისევ გაღწეულ სამშობლოს გაციებული ვერა უნდა მოენახათ, მაგრამ რუსის მთავრობა წინ გადაედგა: ის კი არ გეყოლო, რომ მიდალატეთ, აქეთ დაბრუნებას როგორღა ჰბედავოთ. ამად არწმუნებდნენ ყველას, რომ რუსის ჯარმა თავი მიგვანება და უმწოდ დარჩენილნი იძულებულნი ვიყავით ოხმალეთისათვის გვეთხოვნა მფარველობად. მაგრამ ამად, რუსის მთავრობამ მებადის ყურები მოისხა და ერთავად იძას გაიძახოდა: აფხაზები მოდალატენი არიან. ბევრის ვაგლახის შემდეგ, ნება დართო ერთი ნაწილი აფხაზებისა ბზიფსა და აბჟუაში (სოხუმიდამ 30 ვერსის მოშორებით) დასახლებულიყვნენ. აბჟუასა და ბზიფს შუა მდებარე ადგილები, ე. ი. ნახევარი, თუ მეტი არა, აფხაზეთისა სახაზინოდ გადავიდა. ომამდე თუ 100,000 მეტნი იყვნენ აფხაზნი, დღეს 30,000 ხელი ძლივს არის და რუსის თავხედურ პოლიტიკის წყალობით, ლამის არის, ამათაც ჩქარა ბოლო მოეღობს.

ნაომევე, სწორედ ამ ადგილებს მიაპურეს უმამულ მეგრელებმა. იმედი ჰქონდათ, რუს-ხელმწიფე მოწყალეა, თავისს ქვეშევრდომთ ერთი-მეორისაგან არ არჩევს, ყველასათვის ერთბამად ზრუნავს. ეს განლდათ 1880 წლებში. აფხაზეთში დასახლების მსურველი რაკი სხვა არავინ იყო იმ ხანად, მეგრელთ სახაზინოდ მიწები მიუწოდეს და ესრედ გამენდა ოთხი-ხუთი სოფელი. პირველში რუსის მთავრობამ მით უფრო ხალისით დაარბია ეს მიწები, რომ დმის შემდეგ მთელი მხარე გავერანებული იყო და იქაურობას გაუვალი ტყე ჰქონდა მორეული. მეგრელთ ახალმენებმა მანდაურობა გასწმინდეს. ცოტა სინათლე რომ დაედო მხარეს, რუსის მთავრობამ ნეკზე იკბინა, ეს რა მივქარე და «ტუშემცემი» (ასე გვკმახიან ყველას, ვისაც ჩოხა ვავგვია და ამ სახელით სურთ გამოტატონ თავიანთი ზიზდი ჩვენდამი) ჩავაყენე ამ ადგილებში, ის არა სჯობია, რუსის გლეხები დავასახლოთ, რომ აქაურობა გავარუსოთ. ამის შემდეგ გადმოსახლების მსურველ მეგრელთ ყველას ცივს უარს ეუბნებოდნენ,—თქვენთვის მიწას არ მოვაცდენთ, რუსებიც ბევრი გვყავს აქ დასახასლებული. იწყეს მათი გადმოსახლებაც. მაგრამ თუ როგორ მოეწყვნენ ეს რუს-

სები აფხაზეთში, როგორ შეიგუეს აქაური ჰაერი, ან რა მხედრად ეპყრობოდა და ეპყრობა რუსის ადმინისტრაცია მეგრულ ახალშენთ, შემდეგ წერილებში მოვუთხრობთ მკითხველს. ჯერ კი აღვნიშნავთ რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკას ქართველ ელემენტის მიმართ.

ხე მოგახსენეთ, რომ აფხაზეთის კარები რუსეთის მთავრობამ მეგრელებს ცხვირ წინ გამოუკეტა: რაც მოგვეცი, მოგვეცი და დღეის ამას იქით ერთ მტკაველს მიწასაც ვერ მიიღებთ ჩვენგანად. იცოდეთ, რომ აქაურების გარუხება მსურსო. ამ ამბავს ასე თუ ისე მოურიგებოდა ადამიანი. მაგრამ რუსეთი რაღა დესპოტიური სახელმწიფოა, თუ დესპოტურ სამუალებას არ მიმართა თავის განწრაზვის განსანორციელებლად! რაჟი დაინახა, რომ მეგრელთ ელემენტი მეტის მეტ ფხას იჩენს ცხოვრებასთან ბრძოლაში, ვაჭრობას მისდევს და ფულის მოგების შნდ აქვსო, შეეშინდა მით უფრო, რომ მეგრულს თუ მექთად ადგილის შოვნის სახსარს მოვუსპობ, ადგება და ფულით შეიძენსო. ვერძო შემამულეებს ჯერ ვერ აღუვრძალა—მეგრელებს მამულს ნუ მიჰყიდოდ. ადგა და შემდეგ ძალმომრეობას მიმართა. სოხუმის ოლქის დაბეში (გუდაუთას, ოჩამჩირეს და სხვ.) მიწები დაყოფილი იყო სამცხასხლო ნაჭრებად. ყველა ერღვნების კაცს შეეძლო ფულით ამ სამცხასხლო მიწების შეძენა. როგორც მდხალდრელი იყო, ამ ადგილების შეძენის მსურველნი ყველასე მეტი მეგრელები გამოჩნდნენ. ასე რომ მოვლეს ხანში დაბეში მეგრელებით გაივსო. მეგრელთა ელემენტის გამრავლებისათვის რომ ხელი შეეშალათ, ქუთაისის გუბერნატორმა შალიკოვმა 1895 წელს სოხუმის ოლქის ნაწილების უფრდებებს შემდეგი ბრძანება გაუგზავნა: «რომ ხელი შეეშალათ მეგრელთა ელემენტის მრავლებას სოხუმის ოლქში, წინადადებას გაძლევთ, თქვენდამი რწმუნებულ დაბეში საჯარო ვაჭრობით გასახყიდ სამცხასხლო მიწებს მეგრელებს ნუ მიჰყიდით». ამ აღმამფლთებულ ბრძანებას გუბერნატორის ხელქვეითნი ვიდრე ასრულებდნენ და სამცხასხლო მიწების სყიდვის მსურველ მეგრელებს უარს ეუბნებოდნენ. გუბერნატორის ბრძანება ვისაც არ წაუკითხავს, ვერც კი დაიჯერებს ამ ამბავს. დავანებოთ თავი იმას, რომ მთავრობა თავის საკუთრებადა სოვლის აფხაზების ნაღზარს და უნდა ზედ მარტო რუსები დაასახლდეს. ძალა აღმართსა ხნავს. მაგრამ სწორედ რომ აღსამფლთებულა, ქვეშევრდომს, რომელსაც აქამდე მღრჩილების მეტი არა მიუძღვის მის წინაშე, ის მცირე იურიდიული უფლებაგ წაერთვას, რომელიც ვაივაგლახით ყველასა აქვს მინიჭებული რუსეთში. გაგონილა: საჯარო ვაჭრობაში ნუ გაერვი და მამულს ნუ შეიძენდ! რათა, რა დანამაულდობისათვის? მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, წყალწადებული ხავსს ებღაუჭებოდაო.

მთავრობა ისე დაბრძავებულა, რომ ვერ ამჩნევს რომ ამნაირის წინდაუხედავის მოქმედებით ადელვებს და აბორტებს იმ ხალხს, რომელსაც მისი წინააღმდეგობა ადრე აწრადაც არა ჰქონია. რუსეთის მთავრობასა ხერს ამნაირის დაბრძავებულის პოლიტიკის წყალდობით ფრნს გავიდეს; და ის კი არ იცის, რომ ხელ წინააღმდეგი ნაცოფი მოიტანა მისმა მეცადინეობამ, სახელდობრ ისა, რომ მოვიდობის მცყვარე ხალხი მოხისხლე მტრად გადივიდა და ეს ხალხი შემთხვევას და ეძებს თავისს მტერს სამავიერო მიუწყებს იმავე საწყალოთ. აი ამნაირად ამზადებს რუსეთის მთავრობა ნიადაგს უკმაყოფილებისათვის, რომელმაც, ერთხელაც არი, ამკარა აკტიურის ბრტესტის სახით, გარედ უნდა გამოხეთქოს.

სანუგემოდ ვვრჩება, რომ ქართველთა ინტერესის დამცველი ორგანო «საქართველო» სწორედ ისეთ მარჯვე დროს დაიბადა, როცა ნიადაგი მზადდება და როცა ყოველი მისი სიტყვა, საქართველოს ხალხის სურვილ-მისწრაფებათა გამომსახველი, აღტაცებით იქმნება მოხმენილი მკითხველის-მიერ.

ა—ზვილი.

ჩვენის ცხოვრების მახიანა.

ტფილისის საბჭოს საქმეებში. აი რასა ვკითხულობთ „ისკრამი“ ტფილისის თვით-მმართველობის შესახებ. „რუსეთის გარეში“, რომელიც, სახეგადრთ, ეჭვის თვლით უყურებს თავის ქვეშევრდომთა მოქმედებას, ერთი ორად იჩენს ამ იჭვიანობას იმპერიის განაპირა კუთხეების მკვიდრთადმი. ტფილისის საქალაქო საბჭოსა და მთავრობართების შორის (თ. ვოლიგინის ამ ყამად) განუწყვეტელი ომია. ამ შეტაკებაში უკანასკნელი სიტყვა („ვიც“), რასაკვირველია, პდმადურს (გოლიგინს) რჩება. ხოლო ამის გამო ადვილდობრივ მკვიდრთა შორის უფრო და უფრო ძლიერდება უკმაყოფილება და გაბრანება თვით-მყრობელ რეჟიმის წინააღმდეგ.—სკოლის საქმე ტფილისში დღემდე ქალაქის საბჭოს სამცხასხლო კომიტეტის ხელში იყო. „მოვიდობის მყოფელმა“ შეფემ 1892 წელს შემოიღო საქალაქო ასალი დებულება. კომიტეტები გააუქმეს და დაარსეს კომისიები, რომელნიც ქალაქის გამგეობას დაუქვემდებარეს. მაგრამ ტფილისის ლიბერალურ საბჭოს უკანასკნელ დრომდე არ შეუხვლია მგელი წესი. ხოლო გამგეობის წევრმა მესტაკოვმა—„თვით-მმართველობის“ იმ წარმომადგენელმა, რომელიც ფრთ ქვემ ეგება ადმინისტრაციას—საჭიროდ დაინახა, ქალაქის თავის სიკვიდლის შემდეგ, იმის თანამდებობის ასრულების დროს, ენდობინა თ. ვოლიგინისათვის უკანონოდ არსებულ სამცხასხლო კომიტეტების შესახებ. იმ ქალაქში, რომლითაც გუბერნატორი გამგეობას დაგვიტოხა, სხვათა შორის ეწერა: „თანახმად თქვენის მოსხყენისა... გთხოვთ გაუქმდეთ კომიტეტი“. გამგეობამ შეუთვალა, მე არაფერი არ მომისხყენებია და ეს საქმე საბჭოს მდარსენა. საბჭოში მგელვარე სხდომა მოხდა. მესტაკოვს უყვირეს „დამბეზღებელი“ სარო და თხოულდობდნენ, მოსხყენება გვაჩვენეთ. ბ. მესტაკოვი ამაზე არ დათანხმდა. ისარგებლა თავმჯდომარის უფლებით და სხდომა დახურა“.

გ დ რ ი ს სა ო ს ტ ა ტ ე ს ე მ ი ნ ა რ ი ა ს თ ა ნ არსებულ ადვილდობრივ ენათა სასწავლებლის გაუქმება და მის ნა-

ცვლად რუსულ ორკლასიან სკოლის დაარსება, ერთი იმ ზღმათავანია, რმელის სამუალებით მთავრობას ჰსურს ყოველი კვალი თავისებურებისა აღმოფხვრას ჩვენში. ნელ-ნელა, მაგრამ მდგრად ასდრეილებს მთავრობა თავის ბრძოლას. სასამართლო, ეკლესია, სასწავლებელი ყოველივე ეს მის ხელში ჩვენის ქვეყნის გარუსებისათვის საუკეთესო იარაღია.

„ს ა ა დ რ ე ს ო ს ტ ო ლ ს“, ტფილისში დაარსებულს, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი სალსის მღთსოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ჯი არ არის დაარსებული, სალსისათვის ჯი არ არის გაჩენილი, არამედ მის საწინააღმდეგოდ. იგი ამლევს ადმინისტრაციას სამუალებას თვალ-ყური ადევნოს მიიხვლეველ-წამსვლელთ. ეს საჯამუმოდ დაწესებულება, რასაკვირველია, სალსისავე სარჯით უნდა იყოს შენახული. პოლიციისტიერს ესლასან უთხოვრია გუბერნატორისათვის, ქალაქში ყოველ მომსვლელს ორი აბაზი გადავანდევინოთ. გუბერნატორი, რასაკვირველია, ამ გადასახადის წინააღმდეგი არ არის. ამ რიგად, თავის თავის საუნებლად სალსმა თავის ჯიბიდან უნდა ამლიღს ჯამაგირი ჯამუმებს და საჯამუმოდ დაარსებულ დაწესებულებას.

„ჩვენებური ჯარისკაცები რუსეთში“. მთავრობა 1899 წლიდან ჩვენებურ ჯარის-კაცებს სამხსურის ასასრულებლად ჩრდილოეთისკენ ჰგზავნის. აქ, როგორც სხვა საქმეში, მთავრობას ერთად-ერთი აზრი აქვს—ქართველების გარუსება. ის გარემოება, რომ ქართველი კაცი ვერ იტანს სუსხიანს ჩრდილოეთის ჰაერს, რომ იგი ამის გამო სმირად უდროვოდ ესალმება წუთი-სოფელს,—ყველა ეს აინუნშიაგ არ მოზდის ბარბაროს მთავრობას. ამის წინააღმდეგ ჩვეუ პრეტესტს ვაცხადებთ და ამ ჩვენს პრეტესტის დამატკიცებლად ვიმდწმებთ, სხვათა შორის, ესლასან გამოქვეყნებულ ოქტიგოლურ ანგარიშს რუსეთის ჯარის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. ამ ანგარიშში (1900 წ.) ვკითხულბთ: „კავკასიის მკვიდრნი, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიისანი (ესენი კავასიის ჯარის-კაცთა სახეგად რიცხვის 25% შეადგენენ) იმპერიის სხვა ადგილების მცხოვრებლებთან შედარებით, უფრო სმირად სდებიან ავად და ესალმებან სიცოცხლეს; კავკასიელი 4,1 ჯერ მეტი კვდება, ვიდრე სხვა ადგილის მკვიდრი. თვალსაჩინო ავადმყოფობა და სიკვდილი განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიიდან გაწვეულთა შორის“. მამ თუ მაგრვა, ნუ თუ სასიკვდილოთ უნდა გზავნონ ჩვენის ქვეყნის შვილები ცივს რუსეთში? ნუ თუ ამ ბარბაროსობას წინ არ აღვუდგებით და სიცოცხლის უფლებასაგ ვერ შევირჩენთ?

მუშათა დემონსტრაცია ბათუმში.

ბ ა თ ო მ ი. ჩვენ გვწერენ: როცა სალსში შეგნება გაიღვიძებს, მისს ძალას წინ ვერაფერი დაუდგება. სალსს არც ციხე ამინებს, არც მათრახი, აღარც ტყვია. ბათუმის მუშებმა ეს ამკარად დაგვიმტკიცეს. მარმან მშვიდობის და უიარაღოდ მუშებს ჯარის-კაცები მიუხიეს. ჯარის-კაცებმა უდანაშაულოდ 13 კაცი მოჰკლეს. ბევრი მძიმედ დასჭრეს და ბევრიც ციხეში ჩახვეს. ყოველივე ეს იმიტომ ჩაიღინეს, რომ მუშები გადიგვის მოზდენის უფლებას ითხოვდნენ. გაგონილა, მითომ რა დანაშაულობაა, როცა მე ჩემი საკუთარი ძალ-ღონე, შრომა ჩემთვის მიწა შევირჩინე, აღარა მსურს მუშაობა?! რატომ უნდა დამაძაღონ მუშაობა მაშინ, როცა ეს მუშაობა მღლის, მტარჯავს და სამაგიეროს სერს

ჯი არაფერს მაძლევს? ნუ თუ გასამათრახებელი და მოხალავი ვარ ამისათვის?

იმ სასარგელ სოცვის შემდეგ სალსის გულში მტრობამ დაიბუდა. ყველასათვის ამკარა შეიქმნა, რომ მტრის წინაშე ქარის მდღრეკა შეუწყნარებულა. და აი წრეულსაგ გამაბპარავდა, ყველასათვის თვალსაჩინოდ შეიქმნა სალსის აზრი და მისწრაფება. როცა მუშები თავიანთ დამცველებს (ადვოკატებს) აცილებდნენ, სადგურს და ბათუმის ქუჩებს მღეფინენ, ვამას ძასილით გარს შემოვრტყნენ მატარებელს და აფრიალებულ წითელის დრღმით ესალმებოდნენ თავიანთ დამცველებს. ამის შემდეგ, ზღვასავით წამღვიდნენ ქალაქისკენ, ჰგმობდნენ თვით-მკყრთებლობას, მღელვარებდნენ და ემუქრებოდნენ მთავრობას.—ყოველი ადამიანი, ამ სურათის მაყურებელი, ჰგრძნობდა სალსის ძალას, შეგნებულბობის მღიერებას. დავრწმუნდით, ან უკეთა ვსთქვათ, სალსმა დაგვარწმუნა, რომ როცა აზრი შეებრძოლება სმალს და ტყვია, გამარჯვება ბოლღს ამ აზრს უნდა დარჩეს.

გაზეთებიდან უკვე იგით, რომ სასამართლომ 21 კაციდამ მხოლოდ 8 იგნე დამნაშავეთ. სდღმის ოქმს შემდეგ ნღმისათვის გამღვიგზავნით.

გაუზიარო ს თავისუფლებას!

(გორესბონდენტისაგან).

თავისუფლად! თავისუფლად და თამამად! ჩვენ გვინდა ვიყოთ ადამიანები, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ სრულის ადამიანურის ცხოვრებით! ჩვენ გვკვავს ამის უფლება! დრღ არის სასობა მღვიგრობოთ სულით დაცემულებმა და ავადრიალოთ დრღმა, რომელსედაც ცეცხლის ასობით უნდა აღვბუჭდოთ: **თავისუფალი ქართველი ერი!**

შორს ჩვენგან სიმხდალუ, ლაჩრობა, გლახის ცრემლები! შორს მათხოვრობა, ქედ-დრეკილობა, მუნჯობა, პირფერობა, გულის სიდრემში დამარხული ტანჯვა! შორს მონობა, მტარვლის ბორცილი, შორს ჩვენგან ბასტილია—სულის შემსუთავი, კვნეხით აღსავსე და წამებულთა გვამებით მოღენილი!

ჩვენ დავიბადეთ ადამიანებად, და ვუთხრათ ჩვენს თავს: ვიყოთ თავისუფლები! ქართველი ერი უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, თავის ცხოვრების გამგებელი და პატრონი! რისთვის? მისთვის, რისთვისაგ თავისუფალია ფრანგი, თავისუფალია ინგლისელი, თავისუფალია ბღღვარელი, ნორვეგიელი! რისთვის, განა ამას დამტკიცება უნდა? დამტკიცება უნდა იმის, რომ ყოველმა ერმა ილაბარავოს, სწორღს და ბეჭდღს სამმობლო ენაზე, თვითღრ განაგოს საკუთარი საქმები, გაიხსნას თავისი სკოლები, გაიკურნოს თავისი იარები, შეისწავღოს თავისი ცხოვრება, თავისი წარსული? რომ ყოველმა ერმა იგინღს და იტირღს, როგორღ უტირღეს და უღხინღეს, და არა სხვისის ბრძანებით! რომ ყოველს ერს უყვარღეს თავისი თავი, თავისი კეთილდღეობა და ეწინააღმდეგებოდღეს ყველაფერს, რაგ მას ავნებს და ცხოვრებას უმწარებს, სელ-ფებს უბორკავს და სხვის ლუკმათ სღის?

ქართველი ერთი უნდა იყოს თავისუფალი! ეს მისი თანდაყოლილი უფლებაა, მისი არსებაა, ერის უფლებას ჩვენ ვამყარებთ სამართლიანობის და წინააღმდეგობის უფლებას. ჩვენ არა გვაქვს სხვა საფუძველი. ძალმომრეობას შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს დღეს ჩვენი საფუძველი, მაგრამ ეს როდის მოხდება, რომ მძიმეა და არც ისე მორთულ მძიმეა დღევანდელით გამარჯვებული იქმნება ძალმომრეობა. სრულებით არ არის საჭიროდ ოპტიმისტობა, რომ ცხადია შევადგეს ადამიანი, თუ საითკენ მიდის ცხოვრება. ჩვენი საფუძველია ის, რასაც დასაბამიდანვე ესწრაფოდა კაცობრიობა ბნელსა თუ ნათელში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბრძოლის ველზე, თუ მშვიდობიანათ სახლში. თანასწორობაა ჩვენი საფუძველი, სიმართლეა ჩვენი უფლება. ვერავინ და ვერაფერი ვერ შეარყევს მას და ჩვენ არ გვახატობს სხვა საფუძველი!

ერთი ერთი უნდა იყოს დამოუკიდებელი მეორე ერისაგან, რომ შეიძლოს საკუთარს ძალების თავისუფლად განვითარება, უკეთ მოაწყოს თავისი ცხოვრება, შექმნას არსებობის საუკეთესო პირობები; მხოლოდ თვითონ ერს შეუძლია მოეწოდოს თავის თავს, მოხმაროს თავისი ძალები საუკეთესოდ და საკუთარს ინტერესებისათვის. ერთი ერის ადამიანები უნდა იყვნენ თავისუფალი მეორე ერის ადამიანებისაგან: ყოველი ადამიანი მხოლოდ თვითონ არის თავისი პატრი და პატრი. აი აქედან წარმდგება ჩვენი სურვილი. ეროვნული დამოუკიდებლობა განყენებული ცნება კი არ არის, არამედ ნამდვილი პრაქტიკული ნიადაგი აქვს. ადამიანებს უნდათ განთავისუფლება უცხოელების მომსახურებას, და ამიტომ თხოვლობენ ეროვნულ თავისუფლებას. სადაც არ არის ეროვნული თავისუფლება, იქ ადამიანებს არ შეუძლიათ წინსვლა, აქ ისინი უფრო და უფრო ეცემათ, ირყვნებიან, მახინჯდებიან გონებით, გლახკადებიან სულით. იქ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება, იქ დაბრკოლებულია კაცობრიობის განვითარება!

ჩვენ გვინდა ეროვნული თავისუფლება, მაგრამ უცხოელებისაგან განთავისუფლება მარტო როდის შეუძლია არსებობა და განვითარება, ეს განვითარება ვერ გახდება განსაზღვრულს ადგილს და ერთი კიდევ დაიღუბება, თუ ერში ზოგიერთი წევრნი თავისიანებისაგან იქმნებიან დამორჩილებულნი, თუ თვითონ ერში არსებობს უთანასწორობა და უსამართლობა.

უმაღლესი პრინციპი თავისუფალი ერთი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი, თავისუფალი, თვითმკმედი ადამიანი. ადამიანთა თანასწორობა და მძლ

ბა, ყოველი ადამიანის სავსებით განვითარება გვასურვებინებს, რომ ადამიანებს მიეცესთ ეროვნულ წრეში თავისუფალი არსებობა და მოქმედება, რადგან უამისოდ შეუძლებელია მათი კეთილდღეობა და განვითარება. მხოლოდ ვინც ამას დასჯერდება და ამის მეტს არაფერს მოითხოვს, იგი ნახევარ გზაზე გაჩერდება. იმ სავსისათვის, რისთვისაც ვთხოვლობთ ერთა თანასწორობას, ერთა დამოუკიდებლობას, უნდა მოვითხოვოთ ადამიანთა თანასწორობა, ერთ ადამიანის დამოუკიდებლობა მეორესგან, თანასწორობა ერის წევრთა შორის იურიდიული, ქონებრივი, სოციალური.

ვინც თხოვლობს მარტო ეროვნულ დამოუკიდებლობას, იგი თხოვლობს ნახევარ უფლებას. ერს არ შეადგენს რამდენიმე პირი, რომელიმე წოდება, რომელიმე კლასი; ერს შეადგენენ ყველანი, ერის თავისუფლება ათავისუფლებს ყველას. მაგრამ თუ ყველას მივცემთ გარეგან, ეროვნულ თავისუფლებას, ნუ თუ არ უნდა მივანიჭოთ ყველას თავისუფლება შინაგანად? ნუ თუ თავისუფალ ერში უნდა დარჩეს ბატონობა, მონობა ღარიბისა და უძლურისა, ბატონობა მიწის პატრონისა მიწათმომქმედზე, ბურჟუაზიისა მუშაზე?

თავისუფლება მხოლოდ ნახევარად?

არა! თავისუფლება ყველგან, სავსებით, მთლათ! დღეს ხშირად თხოვლობენ ეროვნულ თავისუფლებას, ერის ნახევარს თავისუფლებას, რომ მით უარესათ დასჩაგრდნ მეორე ნახევარი თავისუფლება (ასეთია ბურჟუაზული ნაციონალიზმი). ჩვენ არაფერი გვაქვს საერთოდ ასეთ ნაციონალიზმთან.

ამგარა ჩვენი მიზანი, თუ რისთვის ვიცავთ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ამგარა ისიც, რომ ვთხოვლობთ სხვა თავისუფლებასაც, სხვა თანასწორობასაც!

ვინც მომხრეა ეროვნებისა, კარგათ უნდა ესმოდეს, თუ რას ემსახურება. ვისაც უნდა, რომ ამა და ამ ერს ეკუთვნოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ერს ეკუთვნოდეს, ვისაც უნდა ქართველობა მხოლოდ ქართველობისათვის, ვისაც უნდა თავის ერის დამოუკიდებლობა და თვითონ ერში დამოუკიდებლობა და მონობა, იგი ცუდს გზაზე დგას, მისი მოსწრაფება რეგრესიულია, მისი შრომა მავნებელი. მას ავიწყდება, რომ ეროვნება მხოლოდ მაშინ არის კარგი და სანატრელი, ამასთან, მაგარი და მტკიცე, როდესაც სამართლიანობის ნიადაგზეა აღმოცენებული და ემსახურება ამ სამართლიანობას და კაცთა შორის სრულის თანასწორობის დამყარებას.

ჩვენს ნაციონალიზმს არ შეუძლია შეურთოდეს იმას, რომ დამოუკიდებელ ერის წევრთა დიდი უმრავლესობა იყოს მონა უმცირესობისა. ჩვენ ვერ ვემსახურებით ასეთს ერის თავისუფლებას. ჩვენი მი-

ზანია თავისუფალი ქართველი ერი, მაგრამ, ამასთან, ჩვენი მიზანია მღვდელთა კაპიტალისტურ წეს-წყობილებისა, ქრებრივ უთანასწორობისა და დამყარება სოციალისტურ წეს-წყობილებისა ქართველ ერში.

